განკარგულება:**გ-63. 63242462**
თარიღი:**02/09/2024**

საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნებისთვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავი/გამოსაფენი ადგილების, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფის შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი”-ს 46-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24–ე მუხლის მე–3 პუნქტის მიხედვით, განიხილა საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნებისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავი/ გამოსაფენი ადგილების, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფის საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნებისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავ/გამოსაფენ ადგილებად სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ გამოიყოს:

ა) ქალაქ სამტრედიაში, რუსთაველის ქუჩაზე, კულტურის სახლის წინ მდებარე 2 სარეკლამო აბრა;

ბ) ქალაქ სამტრედიაში, ჯავახიშვილისა და რუსთაველის ქუჩების გადაკვეთაზე, რკინიგზის სადგურის მოპირდაპირე მხარეს მდებარე 1 სარეკლამო აბრა;

გ) სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების ბოძები.

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავ/ გამოსაფენ ადგილებად გამოიყოს მგზავრთა მოსაცდელები, გარდა ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში არსებული მოსაცდელებისა.

3. პირველი და მეორე პუნქტებით განსაზღვრული ადგილების (ობიექტების) გარდა სააგიტაციო მასალა შეიძლება აგრეთვე, გამოიფინოს სხვა შენობა-ნაგებობებსა და ობიექტებზე (გარდა მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა) მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში.

4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავ/ გამოსაფენ ადგილებად გამოიყოს სამშენებლო ტერიტორიების შემომსაზღვრელი დროებითი ღობეები.

5. აკრძალულია სააგიტაციო მასალის საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების, სასამართლოს, პროკურატურის, სამხედრო შენაერთების, პოლიციის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დანაყოფების შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე განთავსება/გაკვრა.

6. საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ საკუთარი სააგიტაციო მასალების გამოკვრა და გამოფენა იმ ფორმით, რომ დაცული იქნეს წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა, ისარგებლონ სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად განკუთვნილი ადგილით (ადგილებით).

7. დაევალოს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს განკარგულების (საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსებისათვის, გამოყოფილი ადგილების თაობაზე ინფორმაცია) ადგილობრივ ბეჭდვით ორგანოში და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების ორგანიზება.

8. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი